



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების
სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030254989219914

№ 02-1012/თ

23 / ივლისი / 2014 წ.

საადმზრდელო საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ მე-13 მუხლის ბ პუნქტის, საქართველოს კანონის „საადმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასის“ ფილიალს (ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ერ. მანჯგალაძის ქ. N59) მიეცეს საადმზრდელო საქმიანობის განხორციელების უფლება.
2. ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია შეტანილ იქნას საადმზრდელო დაწესებულებების უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144) ან სასამართლოში.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელისმოწერისთანავე.

საფუძველი:

ა(ა)იპ საქველმოქმედი ფონდი „საქართველოს კარიტასის“ ხელმძღვანელის თ. შარაშიძის განცხადება: N68289, 02.07.2014წ.

ადგილზე შემოწმების აქტი N49, 22.07. 2014წ.

სააგენტოს უფროსი

გია თვალავაძე